“დინამო” (თბილისი) – “ტორპედო” (მოსკოვი) 0:0.

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 26 მარტი.

“დინამო”: მჭედლიძე, ჭედია (მუჯირი), ჩივაძე, პაიკიძე, ანდღულაძე, კერესელიძე, კაკილაშვილი, სულაქველიძე, ჩქარეული, ცაავა (მესხი), შენგელია.

“ტორპედო”: ვ. ჩანოვი, პრიგოდა, ჟუპიკოვი, პივცოვი, შავეიკო, პეტრენკო (გალაიბა), პეტრაკოვი, ვასილიევი, ივანოვი, პოლუკაროვი, სოლოვიოვი.

მსაჯი: ა. ტემეტევი (უჟგოროდი).

გააფრთხილეს: ჭედია და შავეიკო.

ჩემპიონატის პირველი მატჩი ყოველთვის საინტერესოა. ახალ სეზონს ნებისმიერი გუნდი ერთგვარად სახეშეცვლილი იწყებს: ახალი მიზნები, ახალი ფეხბურთელები, ახალი საფეხბურთო იდეები. თბილისის “დინამოსთვის” ეს “ერთგვარად”, ბუნებრივია, სრულად ვერ ასახავს რეალურ ვითარებას. წლევანდელ საფეხბურთო ჩემპიონატში ფაქტიურად ახალი გუნდი ჩაება და ჩვენი ინტერესის მიზეზად ესეც იკმარებდა. რა თქმა უნდა, სანახაობრივი თვალსაზრისით მატჩმა შეიძლება ვერ დაგვაკმაყოფილა, ძველებური ხალხმრავლობაც არ იყო სტადიონზე, მაგრამ, ვფიქრობ, ეს ყველაფერი არსებითი არ არის. თავის დროზე, როცა გუნდი საკუთარ თავს იპოვის, როცა რეალურ ძალად იქცევა ფეხბურთელთა პოტენციური ნიჭიერება, ლამაზი მატჩებიც იქნება, გამარჯვებებიც და მაყურებელიც. დღეს კი, ფეხბურთის ქართველი ქომაგნი “დინამოს” სახელოვანი ისტორიის საკმაოდ საინტერესო პერიოდის მოწმენი ვართ – ჩვენს თვალწინ ფაქტიურად ახალი გუნდი იბადება.

ყველაფერი ახალი განსაკუთრებულ მიდგომას, სიფრთხილეს, ზრუნვას საჭიროებს. ყველა ახალი საქმე მოთმინებას მოითხოვს. უთუოდ ფუჭი გამოდგება მცდელობა, ეს მარტივი ჭეშმარიტება ჩვენი მოქმედების წესად თუ არ გავიხადეთ.

თამაში ძველი, ღირსეული მეტოქეებისთვის ერთობ უჩვეულოდ – საკმაოდ მშვიდად დაიწყო. თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში გრძელდებოდა ეს ურთიერთმოსინჯვა. თუმცა მატჩის ამგვარი მსვლელობა გუნდების ტაქტიკურმა მონახაზმა – ფეხბურთელთა განლაგებამაც განაპირობა. სტუმრებს პირველ ტაიმში არც უფიქრიათ და, რაღა თქმა უნდა, ვერც მოახერხეს სახიფათოდ შეეტიათ მასპინძელთა კარისთვის. “დინამომ”, მართალია, ცდა არ დააკლო, მაგრამ ნახევარდაცვამ (კერესელიძე, ცაავა, კაკილაშვილი, ჭედია) თავი ვერ გაართვა ამოცანას, მით უფრო, რომ ჭედიას ფაქტიურად მესამე ცენტრალური მცველის მოვალეობის შესრულება უხდებოდა. ესეც არ იყოს, შუა ტაიმში მოსკოველებმა იგრძნეს, რომ დინამოელთა ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგი შედარებით იოლად დასაძლევი იყო და იერიშებიც იქით მიმართეს. დროდადრო სულაქველიძეს ორი მეტოქის წინააღმდეგ უწევდა ბრძოლა. ამ ხარვეზის შევსებას დრო და მაშველი ძალა დასჭირდა და მასპინძლებმაც, ბუნებრივია, ვეღარ მოიცალეს უფრო აქტიური თამაშისთვის.

მეორე ტაიმის დასაწყისში სურათი ოდნავ შეიცვალა. მერე ცვლილებებს ფეხბურთელთა გადაადგილებანიც მოჰყვა, თამაში გამოცოცხლდა, ორივე კართან შეიქმნა სახიფათო მომენტები, მაგრამ მეტის გაკეთება ვერც ერთმა მხარემ ვერ მოახერხა. ფრე – 0:0.

ი. ბერიაშვილი.
“ლელო”, 27 მარტი, 1983 წ.